საქართველოს მთავრობის

დადგენილება №287

2023 წლის 7 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/12/2018, 010240030.10.003.020896) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) რეფორმების კოორდინაციისა და რისკების მართვის დეპარტამენტი;“.

2. მე-6 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. რეფორმების კოორდინაციისა და რისკების მართვის დეპარტამენტი:

ა) ხელს უწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესს;

ბ) ახდენს თავდაცვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტების სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და ანგარიშგებას;

გ) ხელს უწყობს სამინისტროს რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, განვითარებასა და დანერგვას;

დ) სამინისტროში, გადაწყვეტილების მიღების პროცესების ხელშეწყობის მიზნით, კოორდინაციას უწევს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფების, მართვის ჯგუფისა და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს ეფექტიან მუშაობას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს სამთავრობო დონეზე და უწყებათაშორის ფორმატში სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების შემუშავების პროცესში და ახორციელებს ვალდებულებების აღსრულების მონიტორინგსა და ანგარიშგებას;

ვ) ახორციელებს თავდაცვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტების სამოქმედო გეგმების შეფასებას/ანალიზს და ამზადებს შესაბამის ანგარიშებს ხელმძღვანელობისთვის წარსადგენად;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე საუკეთესო პრაქტიკის კვლევას/ანალიზს; ხელს უწყობს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას;

თ) ახდენს ინფორმაციის კოორდინაციას სამინისტროს სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების შესახებ და ამზადებს შესაბამის ანგარიშებს;

ი) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში პროექტის მართვის ერთიანი სტანდარტის დანერგვას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 2 ოქტომბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**